



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გეგის ჩანჩქერის მღვიმე

გეგის ჩანჩქერის მღვიმე, კარსტული მღვიმე გაგრის მუნიციპალიტეტში, არაბიკის კირქვეულ მასივზე, 650 მ სიმაღლეზე. გამომუშავებულია ზედაიურულ კირქვებში ტექტონ. ნაპრალის გასწვრივ. მღვიმის შესასვლელიდან ეშვება 55 მ სიმაღლის ჩანჩქერი (მდ. გეგის ერთ-ერთი მარჯვ. შენაკადი). მღვიმეში გაედინება ნაკადი, რ-იც გზადაგზა აჩენს ტბებსა და სიფონებს. მღვიმურ ტალანს მეტწილად ოვალური კვეთი აქვს. მისი საშ. სიგანე და სიმაღლე 6-7 მ შეადგენს. ფსკერი სიღრმეში თანდათან მალლდება თითქმის 100 მ-დე. შესასვლელიდან 50 მ დაშორებით პირველი სიფონია, მე-100 მ-ზე - მეორე, რ-ის მაქს. სიღრმე 20 მ აღწევს. მღვიმის გამოკვეთული ნაწილის ჯამური სიგრძე 300 მ-ზე მეტია, ფართ. - 2000 მ², მოცულობა - 3000 მ³. გეგის ჩანჩქერი და მღვიმე მრავალრიცხოვან ტურისტს იზიდავს.

ლიტ.: Д у б л я н с к и й В. Н., Т и н т и л о з о в З. К. и др., Крупные карстовые полости СССР, т. 3, Киев, 1987.

8. ტატაშიძე (ტინტილოზოვი)
